განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი** **წევრ(ებ)ი: ვიქტორია უშანგიშვილი**

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406091857

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი. გ. მუხაძის N15
საფოსტო ინდექსი	0198
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლა ლიცეუმი სანთელი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Santeli779@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995 32)2 458076

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 20.02.2026 წლის ბრძანება MES 9 26 0000199476
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	-------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით შეირჩა და უზრუნველყოფდა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" პუნქტის "ა,ბ" ქვეპუნქტის, "გ" პუნქტის „გ.ა", "გ,დ", "გ,ე"და „გ.ვ" ქვეპუნქტების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, სკოლიდან გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები და განახორციელა დოკუმენტაციის კომპლექსური ანალიზი. ჩატარებული შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები ასახულია წინამდებარე დასკვნაში, სადაც დამატებით გათვალისწინებულია სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
140	**73**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით შპს სკოლა-ლიცეუმმა სანთელი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად წარმოადგინა არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია, რომელიც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026

წლის 16 აპრილის MES 6 26 0000442076 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა განსახილველად. წარმოდგენილ პოზიციაში დაწესებულებამ ცალკეული ინდიკატორების ფარგლებში წარმოადგინა ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტირებული მტკიცებულებები, ხოლო რიგ ინდიკატორებთან დაკავშირებით, შეიმუშავა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, შესაბამისი ვადებისა და ღონისძიებების მითითებით.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლა-ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი მასალები, რის საფუძველზეც 1.2.2.2.; 1.2.2.3, 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.4.1.7; 3.6.2.2; 3.6.3.5; ინდიკატორთან მიმართებით გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, 3.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით - ნაწილობრივ გაიზიარა, ვინაიდან გამოიკვეთა ახალი გარემოება, ხოლო N1.2.1.3. ; 1.2.2.4. და 3.6.3.3 ინდიკატორის შემთხვევაში ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი. აღნიშნულთან დაკავშირებული დასაბუთებული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული შესაბამისი ინდიკატორების შეფასებით აღწერებში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	2023 – 2024 წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშის შექმნა გაწერილია, როგორც 2024-2025 წლის ერთწლიანი გეგმის ამოცანა, რაც ეწინააღმდეგება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას. დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მოსწავლის ჩარიცხვაზე უარის თქმა გასაუბრებისა და ტესტირების შედეგების საფუძველზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების ფაქტები.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (15/04/2026-15/04/2027 წწ) უზრუნველყოს : • სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. • სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.
ინდიკატორი N3.6.2.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა	15/04/2026-15/04/2027 წწ პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას	მასწავლებლის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებაში განისაზღვროს დამოუკიდებელი სპეციალისტი

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილებ აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	შეიმუშაოს სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი რომელიც არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ კათედრის შიგნით გამოცდილების გაზიარებაზე

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	დაწესებულებამ, სტრატეგიული და სამოქმედ გეგმების რევიზირებისას/შედგენისას, შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოს საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება და მოახდინოს პროცესების დამადასტურებელი მტკიცებულებების დოკუმენტირება.	შესრულებულია
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**

	ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა		
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასააქმება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.	სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	დაწესებულებამ უზრუნველყოს საევაკუაციო გასასვლელის უსაფრთხოება (მე-2 სართულის საევაკუაციო გასასვლელი ქმნის რისკებს მოსწავლეთა გადაადგილებისათვის).	შესრულებულია
ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა	დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ხელსაბანის დამონტაჟება.	შესრულებულია

ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპებს;
- პროცესში ჩართულ მხარეებს (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვ.);
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს (სამუშაო ჯგუფი, საჯარო განხილვა, უკუკავშირი);
- ინფორმაციის შეგროვების გზებს (გამოკითხვა, კვლევები, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი);
- დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს (ვებგვერდი, ელფოსტა, შეხვედრები და სხვ.).

ასევე განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა არის **თანამონაწილეობითი პროცესი,** რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კითხვარები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, რომელთა მეშვეობითაც სკოლა არკვევს სასწავლო საზოგადოების ამ ჯგუფების მოსაზრებებს სკოლის ფილოსოციის შესახებ, მასში ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტეისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები ქმედითია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოდგენილია 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც:

- პირდაპირ განსაზღვრულია, როგორც შვიდწლიანი გეგმა;
- ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, რომლებიც დოკუმენტში ცალკე და მკაფიოდ არის წარმოდგენილი;
- მოიცავს SWOT ანალიზს, რაც მიუთითებს გარემოს შეფასებაზე;
- შეიცავს სტრატეგიულ მიზნებს (ინსტიტუციური განვითარება; ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ადამიანური რესურსების გაუმჯობესება; მოსწავლეთა უფლებების მხარდაჭერა და დაცვა), რომლებიც თავსებადია მისიასთან;
- მიზნები დაშლილია ამოცანებად, აქტივობებად, ინდიკატორებად და პასუხისმგებელ პირებად (ცხრილის ფორმატში);
- დადასტურებულია სტრატეგიული დაგეგმვის **ციკლურობა** - გეგმა მუშავდება 7 წელიწადში ერთხელ, პროცესში წარმოებს შუალედური და საბოლოო შეფასება, ახალ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

წარმოდგენილია 2024–2025 და 2025–2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, დამტკიცების ბრძანებები და საბჭოს ოქმები, ასევე, 2023 – 2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, რაც ადასტურებს ერთწლიან ციკლს.
დოკუმენტებში მითითებულია, რომ გეგმები ეფუძნება:

- შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას;

- SWOT ანალიზს;
- წინა წლის საქმიანობის ანალიზს;

მეთოდოლოგიაში პირდაპირ განმარტებულია, რომ სამოქმედო გეგმა იქმნება სტრატეგიული გეგმაზე და ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით.

2023–2024 წლის ანგარიშს, 2024–2025 და 2025–2026 წლის ერთწლიან გეგმებს და 2023–2030 წლის 7-წლიან სტრატეგიულ გეგმას შორის არსებობს სტრუქტურული და თემატური კავშირი. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ხუთი ძირითადი მიმართულება (ინსტიტუციური განვითარება; ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ადამიანური რესურსების გაუმჯობესება; მოსწავლეთა უფლებების მხარდაჭერა და დაცვა), ერთწლიანი გეგმებიც ამავე სტრატეგიული მიზნების ჭრილშია აგებული. თვითონ ანგარიშის შესავალშიც პირდაპირ წერია, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და მისი სტრატეგიული მიზნებიდან. მეთოდოლოგიაც ამავე ლოგიკას ამყარებს: ერთწლიანი გეგმა უნდა შეიქმნას სტრატეგიული გეგმიდან და ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე, რათა ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კავშირი გამოიხატება სტრატეგიული მიზნების ერთიანობაში, ძირითადი პრიორიტეტების შენარჩუნებასა და ისეთი მიმართულებების გაგრძელებაში, რომლებიც გრძელვადიან განვითარებას მოითხოვს.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნაკლებად ჩანს, რამდენად პირდაპირ აისახა 2023–2024 სასწავლო წლის ანგარიშში გამოვლენილი კონკრეტული შედეგები ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები მომდევნო წლების გეგმების ცალკეულ აქტივობებსა და ამოცანებში. მაგ: 2023–2024 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული იყო 1.8 ქვეპუნქტი — სკოლის მართვის ეფექტიანობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დანერგვა. თუმცა წარმოდგენილი ანგარიშიდან არ იკვეთება, განხორციელდა თუ არა აღნიშნული ანალიზი, რა შედეგები გამოიკვეთა და გახდა თუ არა ეს საფუძველი მომდევნო წლის გეგმებში კონკრეტული ცვლილებების ასახვისთვის. აღნიშნული გარემოება აჩვენებს, რომ მიუხედავად გეგმებს შორის ზოგადი შინაარსობრივი კავშირისა, ანგარიშში ასახული შედეგების პირდაპირი გავლენა მომდევნო ერთწლიან გეგმებზე ყველა შემთხვევაში მკაფიოდ წარმოდგენილი არ არის. ამასთანავე, 2023 – 2024 წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშის შექმნა გაწერილია, როგორც 2024-2025 წლის ერთწლიანი გეგმის ამოცანა, რაც ეწინააღმდეგება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

ხარვეზი:

2023 – 2024 წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშის შექმნა გაწერილია, როგორც 2024-2025 წლის ერთწლიანი გეგმის ამოცანა, რაც ეწინააღმდეგება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

სკოლას აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით პოზიცია არ დაუფიქსირებია. აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენს დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას.შესაბამისად ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტითა და სკოლის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ აუცილებელ კომპონენტებს - აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და რესურსებს. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული მეთოდოლოგია;
- 7 წლიანი სამოქმედო გეგმა;
- 1წლიანი სამოქმედო გეგმა 23-24 ს.წ. ანგარიში;
- 2024-25 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 წ.ერთ წლიანი სამოქმეფდო გეგმა ბრძ. N-ბ12;15.07.2024წ;
- 2025-2026 წ.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ბრძ. N09 03.07.25 წ.;
- მშობელთა ფილოსოფიის შემუშავების კითხვარი;
- მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ოქმი კითხვარი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მეთოდოლოგიის დოკუმენტში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ წესი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების **მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადების** საკითხებს. ცალკე ქვეპროცესად არის გამოყოფილი „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი“. ასევე მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი დეტალურად აღწერს:

- სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პერიოდულობას — წელიწადში ერთხელ, ივნისის ბოლოს;
- საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიური მონიტორინგის შესაძლებლობას;
- სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას — ორჯერ, შუაში და ბოლოს;
- ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს;
- აქტივობების სტატუსების მინიჭებას („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“);
- წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას;
- შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.
ხარვეზი:
ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლას არ წარმოუდგენია პრაქტიკული მტკიცებულება, რომ:

- **მონიტორინგი და შეფასება რეალურად განხორციელდა მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
- **უკუკავშირი მიღებული იყო სასკოლო საზოგადოებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან;**
- **უკუკავშირი ან შეფასების შედეგები კონკრეტულად აისახა გეგმების კორექტირებასა თუ შემდგომ ნაბიჯებში.**

მეტიც, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშის შექმნა გაწერილია როგორც 2024-2025 ერთწლიანი გეგმის ამოცანა, რაც ეწინააღმდეგება როგორც დაგეგმვის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების სკოლის მიერვე გაწერილ მექანიზმებს. ანალოგიური ხარვეზი იკვეთება 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც. კერძოდ, გეგმაში ცალკე ამოცანად არის წარმოდგენილი 2024–2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შიდა მონიტორინგი და წლიური შესრულების ანგარიშის მომზადება. აღნიშნული მიდგომა არღვევს დაგეგმვისა და შეფასების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რადგან წინა სასწავლო წლის ანგარიშგება უნდა წარმოადგენდეს დასრულებული ციკლის შეფასების შედეგს და უნდა გამოიყენებოდეს ახალი გეგმის საფუძვლად.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ოქმი, რითაც დადასტურდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფაქტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება შეიცვალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მეთოდოლოგიაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ:

- სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს;
- სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს ამზადებს ორჯერ - შუაში და ბოლოს;
- ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე;
- ანგარიშების გაზიარებისთვის გამოიყენება ასევე სხვა საკომუნიკაციო არხებიც;

ასევე მეთოდოლოგიის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში სასკოლო საზოგადოებას გაუზიარდება ვებგვერდისა და საჯარო განხილვის გზით.

სკოლის ვებ-გვერდზე გაზიარებულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა (https://santeli.ge/?page_id=4357). არ იძებნება 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა ან 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიში. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში (ბრძანება N-ბ/09) იკითხება, რომ მისი დამტკიცებისთვის გამოყენებული იყო წინა წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიში, თუმცა თავად ანგარიში სკოლას მტკიცებულებებში წარმოდგენილი არ აქვს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ დოკუმენტის მოთხოვნის მიუხედავად. ასევე დოკუმენტურად არ დასტურდება, რომ მონიტორინგის შედეგების გაზიარება ხდებოდა რაიმე სხვა ფორმით - სასკოლო საზოგადოებისთვის ზეპირი წარდგენით, სხდომაზე განხილვით და ა.შ.

ხარვეზი. სკოლამ ვერ წარმოადგინა იმის მტკიცებულებები, რომ მონიტორინგის შედეგების გაზიარება ხდებოდა რაიმე ფორმით - სასკოლო საზოგადოებისთვის ზეპირი წარდგენით, სხდომაზე განხილვით და ა.შ.

სკოლამ მონიტორინგის შედეგები განათავსა სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და შეცვალა ინდიკატორის შეფასება
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

2023-2024 წლის ერთწლიანი გეგმის ანგარიშში, 2024-2025 და 2025-2026 წლის ერთწლიან გეგმებში გამოვლენილია, რომ წინა წლის გეგმის ანგარიშის შემუშავება გაწერილია, როგორც მომდევნო წლის ამოცანა, ანუ დაგეგმვა არ ემყარება უკვე გაანალიზებულ მონაცემებს, არამედ გეგმის განხორციელების პარალელურად მიმდინარეობს წინა წლის გეგმის ანგარიშის შემუშავება, რაც სრულად ეწინააღმდეგება როგორც ზოგადად დაგეგმვის და მონიტორინგის, ასევე სკოლის მიერ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ პრინციპებს და მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმეტები ადასტურებენ სტანდარტის ამ ინდიკატორის საპირისპირო მდგომარეობას.

ხარვეზი. სკოლამ ვერ დაადასტურა , რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის
სკოლას აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში არ წარმოუდგენია არც შესაბამისი მტკიცებულება და არც შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფდა ხარვეზის მომავალში გამოსწორებას. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული მეთოდოლოგია
- 7 წლიანი სამოქმედო გეგმა
- 1წლიანი სამოქმედო გეგმა 23-24 ს.წ. ანგარიში

- 2024-25 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ბრძანება N - ბ/09
- ვებ გვერდი: https://santeli.ge/

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და სკოლის ორგანიგრამა/სკოლის სტრუქტურის სქემა. სკოლის წესდებით სკოლა-ლიცეუმის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა (დამფუძნებელთა) კრებას, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს, მშობელთა კომიტეტსა და მოსწავლეთა თვითმმართველობას. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესისა და ხარისხის მართვის დარგში, ფინანსური მენეჯერი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, საქმისმწარმოებელი და IT მენეჯერი, უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივიცი წესრიგის დაცვის მენეჯერი, ფსიქოლოგი, იურისტ-კონსულტანტი, ბიბლიოთეკარი, მედდა, დამლაგებელი, შემცვლელი პედაგოგი, 17 მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი. წესდებით განსაზღვრულია პარტნიორთა კრების უფლებამოსილება, სკოლის დირექტორის პასუხისგებლობა და ვალდებულებები, დირექტორის მოადგილის

ფუნქციები ცალ-ცალკე სასწავლო პროცესის მიმართულებით და ხარისხის მართვის მიმართულებით, ფინანსური მენეჯერის, საქმისმწარმოებლისა და IT მენეჯერის, უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის, ფსიქოლოგის, ბიბლიოთეკარის, მედდის, მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების და კათედრის თავჯდომარეების, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა დამატებით ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით. კათედრები-კათედრების დებულებით, მშობელთა კომიტეტი - მშობელთა კომიტეტის დებულებით.
როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ასევე მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისდა მათი ხელშეკრულებების ანალიზით, სკოლის საშტატო განრიგით, წესდებით, სკოლის ორგანიგრამით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, არ ხდება ფუნქციათა დუბლირება და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანება Nბ/-27 სკოლა - ლიცეუმის წესდების დამტკიცების შესახებ;
- 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N-ბ/23 მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- 2025 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N-ბ/-29 კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ;
- 2024 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება Nბ/-28 მშობელთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ;

- სკოლის ორგანიგრამა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სხვადასხვა დოკუმენტით (შინაგანაწესი, ხელშეკრულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა), თუმცა წარმოდგენილი რეგულაციები სრულად არ არის თანხვედრაში მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და შიდამარეგულირებელ ჩარჩოსთან. კერძოდ, შინაგანაწესის მუხლი 5 (პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება) არ შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ ნორმებს, ვინაიდან დაუშვებელია დასაქმებულის მიერ შრომის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმობის განცხადება სხვადასხვა კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. მუხლი7. (უქმე დღეებთან დაკავშირებული რეგულაციები) შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს ორგანულ კანონით - საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან. მუხლი 8 (სტრატეგიული გეგმის გადახედვის წესი) არ შეესაბამება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, აგრეთვე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულ შესაბამის დებულებებს. ასევე, შინაგანაწესის 30.1 პუნქტის მიხედვით, „I-XII კლასებში ჩაირიცხებიან მოსწავლეები გასაუბრებისა და მშობლის მომართვის საფუძველზე“, თუმცა დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, რა გავლენას ახდენს გასაუბრების შედეგები ჩარიცხვის პროცესზე და ზოგადად რა მიზნით ტარდება გასაუბრება.

დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავება-გამოყენება-გავრცელებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს, რომლებიც ასევე საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან (პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არ უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულების ნაწილს) ამასთან, შვებულების ხანგრძლივობისა და მიცემის წესში განსაზღვრულია მხოლოდ ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის პირობები, რაც არ არის სრულყოფილი რეგულაცია.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები ასახულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშიც, რომელიც არეგულირებს პროფესიული განვითარების, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვისა და შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმების საკითხებს. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 7 (მასწავლებელთა პროფესიული განვითარება)

ეფუძნება ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტს (2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“), რის გამოც აღნიშნული დოკუმენტიც საჭიროებს მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ხარვეზი:

1.სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან.

2.სკოლის შინაგანაწესი და მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია შესაბამსობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო განახლებული შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განახლებული ვერსია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი აღარ ეფუძნება ძალადაკარგულ ნორმებს.

რაც შეეხება 06/04/2026 წლის N- ბ/05 ბრძანებით დამტკიცებულ განახლებული შინაგანაწესს, ამ შემთხვევაში გამოიკვეთა ახალი გარემოება. სკოლის შინაგანაწესში დააზუსტა, რომ დასაშვებია მოსწავლის მიღება სხვა სკოლიდან, თუმცა ასევე განსაზღვრულია, რომ მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას ჩარიცხვაზე, თუ სკოლას მეტი მოსწავლის მიღება არ შეუძლია ან გასაუბრებისა და ტესტირების შედეგები არადამაკმაყოფილებელია. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიღწევის დონესთან, ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოიკვეთა ახალი ხარვეზი. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მოსწავლის ჩარიცხვაზე უარის თქმა გასაუბრებისა და ტესტირების შედეგების საფუძველზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც დასტურდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს პრევენციული მიდგომის ფარგლებში. იგი ითვალისწინებს ფუნქციური მოვალეობებისა და თანამდებობრივი მოთხოვნების საფუძველზე პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას, რაც ხელს უწყობს შესაძლო პროფესიული სირთულეების პრევენციას და სამუშაო პროცესის ეფექტიანობის ზრდას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის შინაგანაწესის მე-12 მუხლით განსაზღვრულია თანამშრომლის/მასწავლებლის მიღების წესი. მასწავლებლის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს შიდა ან/და ღია კონკურსს, ხოლო ღია კონკურსის შემთხვევაში ინფორმაციას აქვეყნებს ვებგვერდზე teacherjobs.ge. შემოსულ განცხადებებს განიხილავს საკონკურსო კომისია, რომელიც, დოკუმენტის მიხედვით, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან და შეიძლება დაკომპლექტდეს როგორც სკოლის თანამშრომლებით, ისე მოწვეული წევრებით.

აღნიშნული ჩანაწერი, კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტების „შეიძლება“ ფორმულირებით განსაზღვრის გამო, იწვევს ბუნდოვანებას. მოქმედი ნორმატიული აქტის - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“) - თანახმად, საკონკურსო კომისიის წევრად სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.

მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებით მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024 წლის 26 ივნისის ბრძანება ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განცხადებების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, ასევე მასწავლებლობის კანდიდატებთან გასაუბრების ოქმი. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერს სკოლის 5 მასწავლებელი და 1 მშობელი, თუმცა მშობლის კომისიის წევრად მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და მანდატი დოკუმენტურად არ არის განსაზღვრული, რაც დამატებით გაურკვევლობას წარმოშობს. რაც შეეხება სხვა კატეგორიის თანამშრომლებს (მასწავლებლების გარდა), მათი დასაქმება სკოლაში ხორციელდება დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე.

სკოლას მიეცა რჩევა . მასწავლებლის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებაში აუცილებლად განისაზღვროს დამოუკიდებელი სპეციალსიტი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი Eschool-ს ბაზის მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი, მათგან 11 - უფროსი მასწავლებელი, 5 - უსტატუსო და 1 - მასწავლებლობის მაძიებელი. წარმოდგენილი მონაცემებით, სკოლაში არ არის დასაქმებული მოწვეული ან შემცვლელი მასწავლებელი. უსტატუსო მასწავლებელთა საგაკვეთილო დატვირთვა შემდეგია: დ.ი. – 6 საათი, ე.კ. – 18 საათი, შ.მ. – 18 საათი, მ.ო. – 17 საათი, მ.ჩ. – 22 საათი. ამასთან, სკოლის მიერ დასაქმებული მასწავლებლების, კერძოდ უსტატუსო მასწავლებლების, დასაქმება არ შეესაბამება სკოლის მიერ შემუშავებულ დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული სკოლაში დასაქმებული ყველა პოზიციის, მაგ., ფსიქოლოგის, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის შესახებ ცნობები.

ხარვეზი.

1. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში როგორც მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ისე სკოლის შიდამარეგულირებელ დოკუმენტებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან

2.დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი არ მოიცავს სტრუქტურით განსაზღვრულ ყველა პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერას

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აიღო ვალდებულება, რომ 2026 წლის 15 აპრილიდან 2027 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოფს:

1.სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

2. სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (15/04/2026-15/04/2027 წწ)უზრუნველყოს :

- სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით. აღნიშნული ჯგუფები რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოფიციალური ოქმების სახით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საგნობრივი კათედრების თითოეული წევრი აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრების ფარგლებში ხორციელდება, სწავლების ეფექტიანი მეთოდების განხილვა და საერთო საგანმანათლებლო მიზნებზე დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებსა და მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე საკითხები განიხილება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს პროცესის დემოკრატიულობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება, რომლის მიხედვითაც კათედრის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება. როგორც წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებიდან დადგინდა პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთს, მონაწილეობენ გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესებში, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას.
სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი რომელიც არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ კათედრის შიგნით გამოცდილების გაზიარებაზე და წარმატებულ პრაქტიკას გააზიარებს სკოლის მასშტაბით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 01 სექტემბრის ბრძანება №/65 ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების თაობაზე;

- 15/09/2025 წლის ბრძნება Nბ/29 კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ;
- კათედრის და მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- დასაქმებულთა მონაცემები/ბაზები;
- 12/09/2025 წლის ბრძანება N-ბ/-25 შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე;
- 10/09/2025 წლის ბრძანება N-ბ/19 დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას, სკოლის ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და დარღვევების შემთხვევაში

ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის, ასევე ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი და პირობები აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები და შესაბამისი პასუხისმგებლობები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით:

- სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, რაც დასტურდება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ 09.06.2023 წელს გაცემული წერილით (MIA 1 23 01630092), რომლის მიხედვითაც შპს „სკოლა-ლიცეუმი სანთელი"-ს სათავსების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. წერილს თან ერთვის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N99. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.
- სკოლის შენობა ვარგისია ექსპლოატაციისათვის. სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 29.06.2023 წელს გაცემული დასკვნა N004522323, რომლის მიხედვითაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში შეფასებულია დამაკმაყოფილებლად და ვარგისია ექსპლუატაციისათვის. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ შენობის ძირითადი ნაწილის კედლების კონსტრუქცია სრულად არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ სეისმური ნორმების მოთხოვნებს, რის გამოსწორებაზეც სკოლამ უნდა იმუშაოს კაპიტალური სარემონტო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე.
- ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით დაწესებულებისგან მოითხოვა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რაც წარმოდგენილი არ ყოფილა.
- სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც დგინდება, რომ საევაკუაციო კიბეს აქვს მოაჯირი

ხარვეზი. სკოლას არ აქვს შესაბამის უწყებასთან შეთნხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წერილი MIA 9 26 01231216, რომელიც ადასტურებს სკოლის მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება არ არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს მედდა, რომელსაც უდასტურდება კვალიფიკაცია სპეციალობაში „მედდის საქმე“. მედდასთან გაფორმებულია ხელშეკრულება 0.5 განაკვეთზე. მედდა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, ვადაგასულ მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების ინდივიდუალური აღრიცხვის და დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის წარმოება. სკოლამ მიუხედავად დამატებით მოთხოვნისა არ წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილია კაბინეტის სურათი, საიდანაც ჩანს სამედიცინო კაბინეტში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, საკაცე, კარადა, ხელსაბანი. არ ჩანს კომპიუტერი, მაცივარი და სხვა ინვენტარი რომელიც განსაზღვრულია სკოლაში სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ სამედიცინო კარადის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ხარვეზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება ექიმის კაბინეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით განსაზღვრული სამედიცინო კაბინეტის მოწყობისადმი არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმების წარმოება

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმების წარმოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორის შეფასება ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებილი შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლა უზრუნველყოფს განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროსთან შეთნხმებული და სკოლის მიერ დამტკიცებული “სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული წესის შესაბამისად სკოლას განსაზღვრული ჰყავს მრჩეველთა საბჭო (Nბ/02 ბრძანება, 2025 წლის 28 თებერვალი) შემადგენლობით: დირექტორი, უფლებამოსილი პირი, მასწავლებელი, მოსწავლეთა თვითმმართვალობის თავჯდომარე და მშობელი, რომელსაც ამავე ბრძანების ფარგლებში დავალებული აქვს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და სზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი

რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორთან წარდგენა. სკოლამ წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება და სასაქონლო ზედნადები (2013წ. 25 მაისი) ციფრული ვიდეოჩამწერის, მყარი დისკის და 3 ვიდეოთვალის შესყიდვაზე და სასაქონლო ზედნადები 1 კამერის შესყიდვაზე (ჯამში 4 ვიდეოთვალი). შეფასება თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა შიდა და გარე პერიმეტრის სრულად კონტროლს წარმოდგენილი მასალით ვერ დგინდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას. სკოლას ხელშეკრულებით ფსიქოლოგად დასაქმებული ჰყავს სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლის, სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს ასევე სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული აქტივობა პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი მიდგომები და რთული ქცევის მართვა სასკოლო გარემოში. ხელშეკრულების მიხედვით სკოლის ფსიქოლოგს ევალება შეიმუშაოს და მიაწოდოს რეკომენდაციები დირექციას, პედაგოგებს და მშობელებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური აღზრდის საკითხებზე, შეამოწმოს მომავალი პირველკლასელთა მზაობა სასკოლო სწავლებისათვის და ხელი შეუწყოს მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოში, მოიკვლიოს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენის ან სოციალური ქცევის ფსიქოლოგიური მიზეზები და ჩაუტაროს საკორექციო მუშაობა, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და პედაგოგთა ჯანსაღ, ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს, მართოს კონფლიქტური სიტუაციები და სხვა. ფსიქოლოგი მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და ახდენს ჩატარებული საქმიანობის ანგარიშგებას.

სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყფას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები (12/09/2025 წ ბრძანება Nბ/26), რომლითაც განსაზღვრულია სკოლის შენობის დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის წესები, სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 1 დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების შიდა და გარე ფართების სისტემატურ მოწესრიგებაზე. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ

ფოტომასალაში ჩანს სველი წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მათ შორის: ხელმისაწვდომია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი), ნარჩენების კალათა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვა რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკა (05.06.2024 წლის ბრძანება №/06), პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის დოკუმენტი (04/06/2024 წ ბრძანება №/05). სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 0.5 განაკვეთზე. ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერზე ასახულია შესაბამის პორტალზე. სკოლა საკუთარი შიდამარეგულირებელი ნორმების მიხედვით იღებს ვალდებულებას დაიცვას მის ხელთ არსებული მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან, მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტის შესახებ. სკოლა და სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზირებული წვდომის და დაზიანებისაგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლეს და დასაქმებულს მიეწოდოს ინდივიდუალურად. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი და მათზე წვდომის უფლება შეზღუდულია (წვდომის უფლება აქვს საქმისმწარმოებელს, დირექტორს, დამრიგებელს თავისი სადამრიგებლო კლასის შემთხვევაში), სკოლაში განსაზღვრულია ზოგადად მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილების არეალი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები სკოლაში გაწერილია რამდენიმე შიდა მარეგულირებელ ნორმაში. ესენია: პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის დოკუმენტი და შინაგანაწესი. სკოლას, შინაგანაწესის მუხლი 5-ით პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება, დეკლარირებული აქვს რომ „შრომის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და საგანმანათლებლო/ სასწავლო პროცესში სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში“ ასევე არის ჩანაწერი „ 5.2.შრომის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული თანხმობას აცხადებს სკოლა - ლიცეუმმა, სასკოლო ან/და არა სასკოლო აქტივობების

მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და გამოიყენოს საჭიროებისამებრ“. გარდა აღნიშნულისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების მე-9 მუხლში „მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა“ ნათქვამია - წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მშობელი აცხადებს თანხმობას რომ სკოლამ დაამუშაოს მოსწავლის პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის სასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს ან/ და გამოიყენოს საჭიროებისამებრ. რაც ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონს აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა თანხმობის აღების კრიტერიუმები. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას: იგი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენებით და შინაგანაწესში არსებული ჩანაწერით დარღვეულია ნებაყობლობითობის პრინციპი. ვინაიდან, მშობელი და დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც.

ხარვეზი: სკოლის შინაგანაწესში და მშობელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ჩანაწერები ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 06/04/2026 წლის N- ბ/05 ბრძანებით დამტკიცებული განახლებული შინაგანაწესი, რომელშიც პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ჩანაწერები შესაბამისობაშია მოყვანილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონთან, აგრეთვე წარმოდგენილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის შევსებული ფორმები.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის ბრძანება, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, რისკების ანალიზი და განხორციელებული პრევენციის შედეგად არსებული მოხსენებითი ბარათი) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა შესაძლებლობების ფარგლებში ზრუნავს უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების მოქმედება და მათი პერიოდული შეფასება. შეფასების პროცესი ხორციელდება მრჩეველთა საბჭოს სხდომების ფარგლებში. სხდომებზე განიხილება განხორციელებული ღონისძიებები, არსებული/სავარაუდო რისკები და რისკების პრევენციის გზები. განხორციელებული საპრევენციო ღონისძიებების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N-ბ/02 (28/02/2025 წ) სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესი და პირობების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პასუხი MES 7 25 0000209356 (26/02/2025 წ) სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესისა და პირობების შეთანხმების თაობაზე.
- ბრძანება N-ბ/02 (28/02/2025 წ) მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მოხსენებითი ბარათი განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ფსიქოლოგის დანიშვნის ბრძანება Nბ/38 (01.09.2022 წ) და ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა და ანგარიში;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ;
- საშტატო განრიგი;
- საკვალიფიკაციო მოთოვნების დოკუმენტი;
- მშობელთან გასაფრმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- შინაგანაწესი;
- 12/09/2025 წლის ბრძანება Nბ/26 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე;
- დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ, მიუხედავად ექსპერტთა მოთხოვნისა, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არ წარმოადგინა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი 12/06/2023 წ. საკადასტრო კოდი 01.19.17.011.323) დგინდება, რომ სკოლა მდებარეობს თბილისში, მუხაძის N15/მუხაძის ქუჩა 15 - ის მიმდებარედ. შენობა იჯარით აქვს აღებული შპს სკოლა-ლიცეუმს სანთელი 06/06/2043 წლამდე. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალით დასტურდება სკოლას აქვს კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მცირე ზომის სპორტული დარბაზი, საკლასო ოთახები. შესყიდვის ან/და ჩუქების აქტებით დასტურდება შპს ჯეოდეკორისაგან შესყიდული ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია და საერთო დანიშნულების 208 დასახელების საქონელი), 5 კომპიუტერის (თუმცა წარმოდგენილი კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტოთი სკოლას უდასტურდება მეტი კომპიუტერული ტექნიკის ფლობა), 2 პრინტერის, 1 პროექტორის, 177 მერხისა და სკამის, სპორტული ინვენტარის, ქიმიური რეაქტივების შესყიდვა/ფლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ფოტო მასალით დადგინდა, სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მიერ 2025 წლის 12 სექტემბრის №ბ/23 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით განსაზღვრულია მოსწავლეებისა და სკოლაში დასაქმებულთათვის სკოლის რესურსით სარგებლობის პირობები. კერძოდ, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული ინვენტარით სარგებლობის უფლება აქვს სკოლის მოსწავლეებსა და სკოლაში დასაქმებულებს სკოლის მიერ დაწესებული პირობების დაცვით, ბიბლიოთეკის დებულების (12/09/2025 წლის ბრძანება №ბ/24) მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს მკითხველთა თანასწორუფლებიანობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია როგორ მოსწავლეს ასევე სკოლაში დასაქმებულ პირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალით დგინდება სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია ლიტერატურით (სასწავლო, შემეცნებითი, მხატვრული), ხოლო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ როგორც ადგილზე მუშაობის, ისე წიგნების გატანის სერვისით. მტკიცებულებად წარმოდგენილია ბიბლიოთეკის სამუშაო გრაფიკი, წიგნადი ფონდის ფლობის (შესყიდვა, ჩუქება) დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მიზნებსა და ამოცანებს, ძირითად პრინციპებსა და ფუნქციებს, აწესრიგებს საბიბლიოთეკო რესურსის გატანა-დაბრუნებას, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლამ ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა ადაპტირებული სველი წერტილის ფოტო მასალა და ასევე რკინის პანდუსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო მასალაზე დაყრდნობით ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საერთო გამოყენების სივრცეები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის ეზო რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება №/-24 (12/09/2025 წ) დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №/23 (12/09/2025 წ) მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ფოტომასალა;
- ჩუქების აქტები;
- სასაქონლო ზედნადებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს Schoolbook-ი (წარმოდგენილია შესაბამისი ხელშეკრულება). სკოლამ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დასადასტურებლად წარმოადგინა შესყიდვისა და ჩუქების აქტები, ასევე კომპიუტერული კლასის ფოტო მასალა, რაც ადასტურებს სკოლაში ინფორმაციული ინფრასტრუქტურის არსებობას. სკოლას შპს „პროსერვისთან“ 2024 წელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც მოქმედია მიმდინარე წლის 4 ივლისამდე. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება გულისხმობს დომენების ჩანაწერის შექმნას, 24 საათიან შენახვას - web/mail ჰოსტინგს ინტერნეტში, რისთვისაც შემსრულებელი მის კუთვნილ სერვერზე გამოყოფს სერვისს: მბ დისკურ სივრცეს დომენისათვის SANTELI.GE.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა სკოლამ უზრუნველყო მატერიალური რესურსით სარგებლობის წესით, რომელიც განსაზღვრავს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესს. აღნიშნული ლაბორატორიის გამოყენების შესაძლებლობა აქვთ როგორც მოსწავლეებს , ასევე დასაქმებულებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება გაფორმებული :შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“

- კომპიუტერების შესყიდვის/ჩუქების აქტები;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ფოტომასალა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 1 სექტემბრის N8/59 ით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. რომლის მიზანიცაა სკოლაში დოკუმენტბრუნვის სისტემის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და ხარისხის გაფორმების ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და სკოლის მუშაობის ეფექტიანოსბის უზრუნველყოფა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციას. ბრძანებების სახეებად განმსაზღვრულია საერთო ბრძნებები, საკადრო ბრძნებები და მოსწავლეთა ბრძანებები. სკოლაში იწარმოება აღნიშნული წესის მიხედვით 7 ტიპის აღრიცხვის ჟურნალი ესენია: შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, საკადრო, საერთო და მოსწავლეთა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი. წარმოდგენილ საქმისწარმიების წესში არ არის განსაზღვრული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის წარმოების პრინციპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, სასწავლო პროცესში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტაა santeli779@gmail.com. რაც შეეხება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, მიუხედავად ექსპერტთა მოთხოვნისა, სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა სკოლის მიერ მისი გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულება.

ხარვეზი. სკოლამ ვერ/არ დაადასტურა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენების ფაქტი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლაში ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის ვადად განსაზღვრა პერიოდი 15/04/2026-15/04/2027. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა

სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შეცვალა ინდიკატორის შეფასება და გასცა რეკომენდაცია: 15/04/2026-15/04/2027 წწ პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

დაწესებულებამ იმის დასადასტურებლად რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აქვს სრულყოფილი პროფილი წარმოადგინა შესაბამისი ფოტო მასალა, რითიც დასტურდება, რომ სკოლას შევსებული აქვს სკოლის ბარათი, შექმნილი აქვს კლასები, ატვირთულია სახელმძღვანელოების ნუსხა, შეტანილი ინფორმაცია დასაქმებულების და მოსწავლეების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

იმის დასადასტურებლად, რომ სკოლა აწვდის ანგარიშგებას, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან სკოლამ წარმოადგინა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების წერილები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 1 სექტემბრის N№/59 ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- ხელშეკრულება გაფორმებული შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ ;
- ფოტო მასალა;
- რესურსცენტრში გაგზავნილი წერილები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის https://santeli.ge/, და სოციალური ქსელის სკოლა-ლიცეუმი სანთელი/santeli.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს. ინფორმაციის მართვისა და გამოქვეყნების პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტით „ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი“ (დამტკიცებული18.07.2023წ. ბრძანებით N-ბ/45) აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცედურებს. ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის დამუშავებასა და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები: სკოლის დირექტორის მოადგილე და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი. შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული წესის საფუძველზე და პასუხისმგებელი პირების მიერ, რაც უზრუნველყოფს სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული და 01/09/2023 წლის Nბ/58 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი. აღნიშნული წესის მიზანია სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ვებგვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია და ასევე უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის

ამაღლების მიზნით. მიუხედავად ექსპერტთა მოთხოვნისა სკოლამ ვერ/არ წარმოადგინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის მაგალითები და უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტები.

ხარვეზი. სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების ფაქტები.

სკოლას აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში არ წარმოუდგენია არც შესაბამისი მტკიცებულება და არც შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფდა ხარვეზის მომავალში გამოსწორებას. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი https://santeli.ge/, რომელზეც განთავსებულია დაწესებულების საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, შესაბამისად ვებგვერდზე მასალები წარმოდგენილია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტზე მუშაობის პროცესში მოხდა სკოლის ვებგვერდის ანალიზი. სკოლის ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას: სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა , ღირებულებები), კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, წესდება (წესდება მოიცავს საჩივრის განხილვის წესსაც), შინაგანაწესი, მისიის, ხედვის ღორებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის სტრუქტურა, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და ჩარიცხვის წესები, მოსწავლის ადაპტაციის წესი.

ხარვეზი. ვებგვერდზე არ არის განთავსებული: მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

სკოლამ ვებგვერდზე განათავსა ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 18 ივლისის ბრძანებაNბ/45 ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ;
- https://santeli.ge
- 01/09/2023 წლის Nბ/58 ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

თარიღი 21.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები :